

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის №01-06/09

მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევაძე

2. საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2026 წლის II კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ეკა გოგუაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: შოთა ბერიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლის დირექტორი: ირინა დევაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2026 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 01/07/2025; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016402) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“

2. დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მერიის (შემდგომში „მერია“) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ: კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, აქედან გამომდინარე, „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

დანართის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს თავმჯდომარეობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“

დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 7-ზე ნაკლები. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს წევრები, საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მერიის (შემდგომში „მერია“) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში ასევე შეიძლება შედიოდნენ: კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები.“

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 ივნისის №9 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება და შესაბამისობაში მოყვანა.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები, აქედან გამომდინარე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა აღნიშნულ დადგენილებაში საკრებულოს მიერ შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილია დადგენილების 1-ლი მუხლით.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ამირან დევაძე.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2026 წლის -- ივლისი
დაბა ქედა**

**საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N72 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს „საინფორმაციო სისტემის მართვის შესახებ“ ინსტრუქცია, თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძეს).
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

ინსტრუქცია საინფორმაციო სისტემის მართვის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო

წინამდებარე ინსტრუქციით რეგულირდება საინფორმაციო სისტემის მართვის სახელმძღვანელო პრინციპები და წესები.

მუხლი 2. ინსტრუქციის მიზანი

ინსტრუქციის მიზანია ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო სისტემის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და წესების განსაზღვრა.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს ამ ინსტრუქციის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო;

ბ) **საინფორმაციო სისტემა** – სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა ცენტრალურ დონეზე;

გ) **სივრცის დაგეგმარების გეგმა** – საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდგომში – კოდექსი) შესაბამისად დამტკიცებული საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის ან/და მულტიმუნიციპალური სივრცის დაგეგმარების გეგმა;

დ) **ქალაქთმშენებლობითი გეგმა** – კოდექსის შესაბამისად დამტკიცებული გენერალური გეგმა, განაშენიანების გეგმა ან/და განაშენიანების დეტალური გეგმა.

თავი II. საინფორმაციო სისტემა ადგილობრივ დონეზე

მუხლი 3. ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო სისტემის მიზანი

საინფორმაციო სისტემის მიზანია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, სისტემატიზაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. საინფორმაციო სისტემის შემადგენლობა

1. საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების ერთობლიობას, რომელიც ემსახურება სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის დაგროვებას, დამუშავებას, სისტემატიზაციასა და გამოყენებას.

2. საინფორმაციო სისტემაში აისახება:

ა) სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საბაზისო მონაცემთა ინდიკატორები;

ბ) სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

გ) სივრცის დაგეგმარებასა და ქალაქთმშენებლობით დაგეგმვასთან დაკავშირებული დარგობრივი გეგმები;

დ) მიმდინარე ან/და დაგეგმილი პროექტები (მათ შორის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები);

ე) მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ვ) სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სივრცით და ქალაქთმშენებლობით დაგეგმვასთან, ასევე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურების სხვადასხვა სტადიასთან.

მუხლი 5. ადგილობრივ დონეზე სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე/ინფორმაციაზე ინტერაქტიული წვდომა

ადგილობრივ დონეზე სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე/ინფორმაციაზე ინტერაქტიული წვდომის პროგრამული უზრუნველყოფა ხორციელდება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს მართვაში არსებული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი პროგრამის მეშვეობით (<https://www.msda.ge/>).

თავი III. საინფორმაციო სისტემის მართვა ადგილობრივ დონეზე

მუხლი 6. ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო სისტემის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემის მართვის ორგანიზებას თავის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში და თავის ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის საინფორმაციო სისტემის მართვის ცენტრალურ ორგანოსათვის - სააგენტოსათვის მიწოდებას.

მუხლი 7. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და სისტემატიზაცია

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური ახორციელებს თავის სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში და თავის ხელთ არსებული ყველა ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციას ან/და დამუშავებას შემდგომ ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის ფარგლებში სააგენტოსათვის მიწოდებას.

მუხლი 8. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დოკუმენტბრუნვა და კანცელარია

1. დოკუმენტბრუნვა უზრუნველყოფს კანცელარიასა და ონლაინ განცხადებების პორტალში რეგისტრირებული განცხადებების საქმისწარმოების ელექტრონულად მართვას.

2. კანცელარიის მოდული უზრუნველყოფს ელექტრონულ საქმისწარმოებას, ასევე კანცელარიაში შემოსული დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაცია/გაგზავნას. კანცელარიის მოდულში რეგისტრირდება ფიზიკური პირის, იურიდიული პირის და სახელმწიფო სტრუქტურის მიერ წარმოდგენილი განცხადებები.

3. ინტერაქტიული რუკა უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული გეოსივრცითი ობიექტების განთავსებას და მათზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიხედვით მიმდინარე ელექტრონული განცხადებისა და ინფორმაციის ასახვას.

4. ონლაინ განცხადებების პორტალი უზრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის ელექტრონული პირადობის მოწმობის გამოყენებით განცხადებების შეტანას, სერვისების გაცნობას და ინფორმაციის მიღებას მათ მიერ შემოტანილი განცხადებების საქმისწარმოების თაობაზე.

მუხლი 9. ინფორმაციის საჯაროობა

საინფორმაციო სისტემაში თავმოყრილი ინფორმაცია უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ადგილობრივ დონეზე საინფორმაციო სისტემის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და წესების განსაზღვრა, ხოლო საინფორმაციო სისტემის მიზანია სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმებისა და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის/ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, სისტემატიზაციისა და საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე „სივრცის დაგეგმარების საინფორმაციო სისტემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N72 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს აღნიშნული განკარგულების მიღებით საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციას ადგილობრივ დონეზე.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

განკარგულების პროექტით ხდება „საინფორმაციო სისტემის მართვის ინსტრუქციის დამტკიცება“ განკარგულების პროექტზე თანდართული დანართის შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება;

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: არ გამოიწვევს

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

განკარგულების პროექტის ავტორია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური (სამსახურის უფროსი გ. ანანიძე).

ზ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის
2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის
შესრულების მიმოხილვა



ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის
მაჩვენებლები

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2026 წ. დაზუსტებული გეგმა	2026 წლის II კვარტლის დაზუსტებული გეგმა	2026 წლის II კვარტლის საკასო შესრულება
I. შემოსავლები	34 171 895	15 107 195	12 759 501
გადასახადები	21 248 400	10 752 750	10 181 482
გრანტები	12 513 135	4 145 095	2 344 438
სხვა შემოსავლები	410 360	209 350	233 581
II. ხარჯები	24 370 769	13 060 747	11 826 163
შრომის ანაზღაურება	9 987 764	5 262 704	4 886 093
საქონელი და მომსახურება	5 005 070	2 473 648	2 199 811
პროცენტი	1 500	1 000	576
სუბსიდიები	4 286 040	2 278 300	2 073 336
სოციალური უზრუნველყოფა	1 879 364	1 229 264	1 120 056
სხვა ხარჯები	3 211 031	1 815 831	1 546 291
III. საოპერაციო სალდო	9 801 126	2 046 448	933 338
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10 554 634	2 314 534	644 796
ზრდა	10 584 634	2 329 534	671 024
კლება	30 000	15 000	26 228
V. მთლიანი სალდო	-753 508	-268 086	288 543
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-767 908	-281 486	275 150
ზრდა	0	0	275 150
ვალუტა და დეპოზიტები	0	0	275 150
კლება	767 908	281 486	0



ვალუტა და დეპოზიტები	767 908	281 486	0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-14 400	-13 400	-13 393
კლება	14 400	13 400	13 393
საშინაო	14 400	13 400	13 393
VIII. ბალანსი	0	0	0

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები,
გადასახდელები

#	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე	
			გეგმა	საკასო შესრულება
1	შემოსულობები	34 201 895	15 122 195	12 785 729
1,1	შემოსავლები	34 171 895	15 107 195	12 759 501
1,2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	15 000	26 228
2	გადასახდელები	34 969 803	15 403 781	12 510 580
2	ხარჯები	24 370 769	13 060 747	11 826 163
2,2	არაფინანსური აქტივების ზრდა	10 584 634	2 329 534	671 024
2,3	ვალდებულებების კლება	14 400	13 500	13 393
ნაშთის ცვლილება		-767 908	-281 586	275 150



ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლისათვის მიღებულია 2 344 438 ლარის გრანტი, მათ შორის: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 432 350 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1 801 498 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა მიზნობრივი ტრანსფერი 110 590 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 10 181 482 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი 9 620 160 ლარი, ქონების გადასახადი - 561 322 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 233 581 ლარი, მათ შორის: შემოსავლები საკუთრებიდან 149 028 ლარი, საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან 19 252 ლარი, სანქციები, ჯარიმები და საურავები 24 443 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 40 858 ლარი.


ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

№	შემოსულობების დასახელება	საკასო შესრულება	წილი მთლიან შემოსულობებში
1	შემოსავლები	12 759 501	
1,1	გადასახადები	10 181 482	79,80%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	2 344 438	18,37%
1,3	სხვა შემოსავლები	233 581	1,83%
ჯამი		12 759 501	100%

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით

შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქედის მუნიციპალიტეტის **2026 წლის 6 თვის**
ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



№	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე			
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	34 171 895	15 107 195	12 759 501	-2 347 694	84,46%
1,1	გადასახადები	21 248 400	10 752 750	10 181 482	-571 268	94,69%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	12 513 135	4 145 095	2 344 438	-1 800 657	56,56%
1,3	სხვა შემოსავლები	410 360	209 350	233 581	24 231	111,57%
2	არაფინანსური აქტივების კლება	30 000	15 000	26 228	11 228	174,85%
ჯამი		34 201 895	15 122 195	12 785 729	-2 336 466	84,55%

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 37 %-ია.



შემოსავლები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 15 122 195 ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 12 785 729 ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 84.55%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 10 181 482 ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 10 752 750 ლარის 94.69%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 79,80%-ს.



საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა – 561 322 ლარი, კერძოდ: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 556 541 ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 485 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 2 179 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 2 118 ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადები - მიმდინარე პერიოდის გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 10 415 775 ლარს, ხოლო საკასო შესარულება - 9 620 160 ლარს, შესრულდა 92.36%-ით. კერძოდ, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 3 694 024 ლარი და გადასახადი იმპორტირებული პროდუქციიდან - 5 923 135 ლარი.

№	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა
1	გადასახადები	21 248 400	10 752 750	10 181 482	-571 268
1.1	ქონების გადასახადი	700 000	336 975	561 322	224 347
1.1.1	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	667 000	334 975	556 541,23	221 566
1.1.2	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 000	2 000	484,62	-1 515
1.1.3	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	0	0	2 178,89	2 179
1.1.4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	30 000	0	2 117,67	2 118
1.2	დამატებული ღირებულების გადასახადი	20 548 400	10 415 775	9 620 160	-795 615
1.2.1	საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	5 861 535	3 003 000	3 694 024,35	691 024
1.2.2	იმპორტირებული პროდუქციიდან	14 686 865	7 412 775	5 926 135,43	-1 486 640



გრანტები

2026 წლის 6 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 2 344 438 ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 4 145 095 ლარს, გეგმა შესრულდა 56.56%-ით.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 2 233 848 ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერის სახით - 342 350 ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 1 161 003 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა მიზნობრივი ტრანსფერი 110 590 ლარი (დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართები №4, №5 და №6)).

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 36.62%-ია.

№	შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკუთ შესრულება	გადახრა
1	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	12 513 135	4 145 095	2 344 438	-1 738 647
1.1	მიზნობრივი ტრანსფერი	172 640	172 600	110 590	-62 010
1.2	სპეციალური ტრანსფერი	3 074 000	1 412 000	1 161 003	-250 997
1.3	კაპიტალური ტრანსფერი	8 626 000	1 920 000	432 350	-1 487 650
1.4	რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი	640 495	640 495	640 495,00	0
ჯამი		12 513 135	4 145 095	2 344 438	-1 738 647

სხვა შემოსავლები



სხვა შემოსავლების 2026 წლის 6 თვის საპროგნოზო მოცულობა 209 350 ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 233 581 ლარი, ანუ გეგმის 111.57%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 1.83%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 149 028 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (59 250 ლარი) 251.52%-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 39 644 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის - 20 000 ლარის 198.22%-ს შეადგენს.

- **რენტის** სახით მიღებულია 109 385 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (39 250 ლარი) 278.69%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 19 252 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (27 200 ლარი) 70.78%-ია. აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 14 452 ლარი.

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან _ 4 800 ლარი.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 24 443 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (22 900 ლარი) 106.74%-ია.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებულის სახით მობილიზებულია 40 858 ლარი, რაც მეორე კვარტლის გეგმის (100 000 ლარი) 40.86%-ია.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის სხვა შემოსავლები

შემოსულობების დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე	
		გეგმა	საკასო შესრულება
სხვა შემოსავალი	410 360	209 350	233 581
შემოსავალი საკუთრებიდან	145 000	59 250	149 028
პროცენტი	50 000	20 000	39 644




რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	50 000	20 000	39 644
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	50 000	20 000	39 644
რენტა	95 000	39 250	109 385
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	92 500	38 230	108 125
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	55 000	22 775	33 575
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	30 000	12 400	3 305
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის	0	0	828
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	4 500	1 835	0
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	500	220	242
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	2 500	1 000	70 174
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2 500	1 020	1 260
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	70 000	27 200	19 252
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	65 000	25 000	14 452
სანებართვო მოსაკრებლები	50 000	17 000	1 472
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	50 000	17 000	1 472
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	15 000	8 000	12 980
არა საბაზრო დაწესებულებების მიერ განხორციელებული გაყიდვები	5 000	2 200	4 800
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5 000	2 200	4 800
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5 000	2 200	4 800
სანქციები, ჯარიმები და საურავები	40 000	22 900	24 443
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	30 000	14 500	20 167
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	6 000	3 500	3 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელშეყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	2 000	0	0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინარულ - სანიტარიული წესების დარღვევა	1 000	1 000	980



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	20 000	10 000	14 162
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	17 000	8 500	13 183
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	3 000	1 500	979
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	1 000	0	1 525
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	0	0	500
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	5 000	3 400	4 271
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	5 000	5 000	5
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	155 360	100 000	40 858
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	155 360	100 000	40 858
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	155 360	100 000	40 858
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	155 360	100 000	40 858

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები




- შემოსავლები საკუთრებიდან
- საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია
- სანქციები, ჯარიმები და საურავები
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება (იხილეთ დიაგრამა):



ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და
არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში

მთლიანი ხარჯები	34 955 403	15 390 281	12 497 187	81,20%	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	7 012 118	3 408 836	2 936 668	86,15%	23,50%




აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6 900 618	3 371 836	2 909 108	86,28%	23,28%
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 810 282	3 361 500	2 909 108	86,54%	23,28%
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	90 336	10 336	0	0,00%	0,00%
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 500	1 000	576	57,60%	0,00%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	110 000	36 000	26 984	74,96%	0,22%
ეკონომიკური საქმიანობა	1 474 300	837 600	479 704	57,27%	3,84%
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	17 000	0	0	#DIV/0!	0,00%
სოფლის მეურნეობა	17 000	0	0	#DIV/0!	0,00%
ტრანსპორტი	844 200	498 400	212 492	42,63%	1,70%
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	844 200	498 400	212 492	42,63%	1,70%
ეკონომიკის სხვა დარგები	613 100	339 200	267 213	78,78%	2,14%
ტურიზმი	613 100	339 200	267 213	78,78%	2,14%
გარემოს დაცვა	1 957 700	1 024 300	1 011 588	98,76%	8,09%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 957 700	1 024 300	1 011 588	98,76%	8,09%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	6 692 100	1 419 600	609 614	42,94%	4,88%
კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 985 000	268 100	180 105	67,18%	1,44%
წყალმომარაგება	2 057 100	740 000	415 595	56,16%	3,33%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 650 000	411 500	13 915	3,38%	0,11%
ჯანმრთელობის დაცვა	1 117 640	882 000	758 845	86,04%	6,07%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 117 640	882 000	758 845	86,04%	6,07%
დასვენება, კულტურა და რელიგია	7 812 800	2 882 000	2 175 440	75,48%	17,41%



მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	921 800	477 100	399 522	83,74%	3,20%
მომსახურება კულტურის სფეროში	6 891 000	2 404 900	1 775 917	73,85%	14,21%
განათლება	5 418 186	2 851 186	2 699 229	94,67%	21,60%
სკოლამდელი აღზრდა	3 824 000	2 046 400	1 952 338	95,40%	15,62%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 594 186	804 786	746 891	92,81%	5,98%
სოციალური დაცვა	3 470 559	2 084 759	1 826 099	87,59%	14,61%
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	30 000	15 000	9 318	62,12%	0,07%
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3 440 559	2 069 759	1 816 780	87,78%	14,54%

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის შრილში





საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 3 408.836 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 2 936.668 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86.15%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურების, წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო საკასო ხარჯებში შეადგენს 23.50%-ს.

ეკონომიკური საქმიანობისთვის დაგეგმილი იყო 837.600 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 479.704 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 57.27%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 3.84%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტი და გზების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობისა და შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრის ფუნქციონირებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 1 024.300 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 1 011.588 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.76%. ამ სფეროში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანის ღონისძიებები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 8.09%-ია.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის კომუნალური მეურნეობის განვითარება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობის, მეორე კვარტლის გეგმა შეადგენდა 1 419.600 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 609.614 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 42.94%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 4.88%-ს.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 882.000 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 758.845 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 86.04%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 6.07%-ს. მასში გაერთიანებულია მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა უზრუნველყოფის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის, ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციალური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯები.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 2 882.0 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 2 699.229 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 75.48%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 17.41%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტული მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის, ა(ა)იპ ქედის



კულტურის ცენტრის, ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმის, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობის, ინტელექტუალურის და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 2 851.186 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 2 699.299 ათას ლარს, ანუ გეგმის 94.67%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდა და განათლების, ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შეფასების მქონე სტუდენტების ფულადი ჯილდოთი წახალისების, ა.ა.(ი)პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების, ა.ა.(ი)პ ქედის სასპორტო სკოლის, ა.ა.(ი)პ ქედის სახელოვნებო სკოლის ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 21.60%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 2 084.759 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 1 826.099 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.59%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 16.46%-ს. იგი მოიცავს სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარების, ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამის, შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფის, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარების, საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარების, მარტოხელა სტატუსის მქონე პირებზე ფინანსური დახმარების, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობი სერვისების თანადაფინანსების, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის, სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარების ხარჯებს.

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს
ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

№	დასახელება		2026 წლის 6 თვე
---	------------	--	-----------------



		2026 წლის გეგმა	გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %	%-ლი წილი
1	შრომის ანაზღაურება	9 987 764	5 262 704	4 886 093	92,8%	39,06%
2	საქონელი და მომსახურება	5 005 070	2 473 648	2 199 811	88,9%	17,58%
3	პროცენტი	1 500	1 000	576	57,6%	0,005%
4	სუბსიდიები	4 286 040	2 278 300	2 073 336	91,0%	16,57%
6	სოციალური უზრუნველყოფა	1 879 364	1 229 264	1 120 056	91,1%	8,95%
7	სხვა ხარჯები	3 211 031	1 815 831	1 546 291	85,2%	12,36%
8	არაფინანსური აქტივები	10 584 634	2 329 534	671 024	28,8%	5,36%
9	ვალდებულებები	14 400	13 400	13 393	99,9%	0,11%
გადასახდელების ჯამი		34 969 803	15 403 681	12 510 580	81,2%	0,0%

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 4 886.093 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 39.06%;

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2 199.811 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 17.58%;

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 0.576 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.005%;

სუბსიდიების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 2 073.336 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 16.57%;


სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 1 120.056 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 8.95%;

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 1 546.291 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 12.36%;

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 671.024 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 5.36%;

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 13.393 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 0.11%;

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში



ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში

პროგრამულ ჭრილში ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის
ბიუჯეტის ხარჯებს შემდეგი სახე აქვს:


პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა	2026 წლის გეგმა	2026 წლის 6 თვე		
			გეგმა	საკასო შესრულება	შესრუ- ლების %
1	ქედის მუნიციპალიტეტი	34 969 803	15 403 681	12 510 580	81,22%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7 026 518	3 422 236	2 950 061	86,20%



01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	6 810 282	3 361 500	2 909 108	86,54%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	216 236	60 736	40 953	67,43%
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	8 166 400	2 257 200	1 089 318	48,26%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	844 200	498 400	212 492	42,63%
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	2 057 100	740 000	415 595	56,16%
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	1 141 000	280 000	0	0,00%
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	916 100	460 000	415 595	90,35%
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 985 000	268 100	180 105	67,18%
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	1 230 000	108 500	35 725	32,93%
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 430 000	11 600	0	0,00%
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	325 000	148 000	144 379	97,55%
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	255 000	102 500	8 215	8,01%
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	17 000	0,00	0	#DIV/0!
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	0	0	#DIV/0!
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	9 000	5 700	63,33%
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	613 100	339 200	267 213	78,78%
02 09	მთა ტბათში ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	630 000	300 000	0	0,00%



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 957 700	1 024 300	1 011 588	98,76%
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 957 700	1 024 300	1 011 588	98,76%
04 00	განათლება	4 082 086	2 131 186	2 007 355	94,19%
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 824 000	2 046 400	1 952 338	95,40%
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	258 086	84 786	55 017	64,89%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	9 148 900	3 602 000	2 867 313	79,60%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 839 900	968 800	872 498	90,06%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	7 309 000	2 633 200	1 994 815	75,76%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4 588 199	2 966 759	2 584 944	87,13%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 117 640	882 000	758 845	86,04%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	3 470 559	2 084 759	1 826 099	87,59%





ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ ჭრილში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით დეტალურად მოცემულია დანართის (დანართი №2) სახით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მოქმედი საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში შეიქმნა სარეზერვო ფონდი 200.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 0.57%-ს შეადგენს. სარეზერვო ფონდიდან სახსრები მიიმართებოდა იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომელიც არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში.

2026 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების მოცულობამ 109 664.17 ლარი შეადგინა, დეტალური ინფორმაცია ცხრილის (დანართი №1) სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის 6 თვის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების (დანართი №2) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 6 თვის შესრულების (დანართი №3) შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 6 თვის შესრულების (დანართი №5) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სპეციალური ფინანსური დახმარების (მთავრობის თავმჯდომარის სარეზერვო ფონდი) ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების 6 თვის შესრულების (დანართი №4) შესახებ ინფორმაცია დანართის სახით თან ერთვის ანგარიშს.

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული

სარეზერვო ფონდის შესახებ 2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

№	დასახელება	ფუნქციონ. კოდი ეკონ კლას. კოდი	ბრძანების № და თარიღი	წლიური დაზუსტება	კვარტალური I დაზუსტება	კვარტალური II დაზუსტება	კვარტალური III დაზუსტება	კვარტალური IV დაზუსტება	საკასო შესრულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
199	სოფელ ჭალახმელაში მცხოვრებ ლიზი სურმანაძისათვის ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისა და შპს „მედ ემერჯენსი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვა	71 09 27	894. 94261684 17.06.2026	300,00	0,00	300,00	0,00	0,00	300,00	
200	სოფელ ჩეტკიძებში მცხოვრებ შუკრი ნაკაშიძისათვის ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისა და შპს „ჰოსპიტალ სერვისი“-ს ანგარიშზე ჩარიცხვა	71 09 27	894. 94261752 24.06.2026	734,37	0,00	734,37	0,00	0,00	734,37	
ს უ ლ		X	X	109 664,16	78 499,67	31 164,49	0,00	0,00	109 664,16	X

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან ქედის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

N	დასახელება	თანხა (ლარი)	2026 წლის 6 თვე				
			გეგმა	ფაქტი	სხვაობა	შესრულების %	შენიშვნა
1	სოფელ ვარჯანისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული თენგიზ ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 784	8 784	0	100%	
2	სოფელ ტაკიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული სულიკო ტაკიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		6 084	6 084	0	100%	
3	სოფელ კოკოტაურში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ზაურ შანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		12 499	12 499	0	100%	
4	სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ავთანდილ კეკელიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		13 469	13 469	0	100%	
5	სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული გულნარა კეკელიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		12 087	12 087	0	100%	
6	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ალი მახარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 318	9 318	0	100%	
7	სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნიაზ სირაბიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 928	9 928	0	100%	
8	სოფელ ახოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ზვიად თავდგირიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		7 928	7 928	0	100%	
9	სოფელ ჯალაბაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ჯანსუღ ჩხუბაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		10 060	10 060	0	100%	
10	სოფელ ჯალაბაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნანული ვერძაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		11 385	11 385	0	100%	

11	სოფელ დანდალოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ირაკლი ოტოლაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა	208 580	10 318	10 318	0	100%	
12	სოფელ ტაკიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მაყვალა ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		11 623	11 623	0	100%	
13	სოფელ ჯალაბაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული დავით ცინცაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 528	9 528	0	100%	
14	სოფელ ჯალაბაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ასლან ცინცაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		7 868	7 868	0	100%	
15	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ზვიად ჩხეიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 710	8 710	0	100%	
16	სოფელ ცხმორისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული დარინა რიჟვაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 882	9 882	0	100%	
17	დაბა ქედაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული თენგიზ ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		4 326	4 326	0	100%	
18	სოფელ კოლოტაურში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ედნარ შავლძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 766	8 766	0	100%	
19	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ირაკლი ავალიანის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 468	8 468	0	100%	
20	სოფელ ძეწმანში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ქემალ სალაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		10 203	10 203	0	100%	
21	სოფელ არსენაულში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მედეა ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 407	9 407	0	100%	
22	სოფელ პირველ მაისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ლევან სამნიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		7 939	7 939	0	100%	
23	სოფელ მერისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული იამზე მჭავანაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		11 843	11 843	0	100%	
24	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული იამზე ქათამაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		3 495	3 495	0	100%	
25	სოფელ აბუქეთაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ირაკლი ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		5 623	5 623	0	100%	
26	სოფელ ვაიოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მაია ლორთქიფანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		4 352	4 352	0	100%	

27	სოფელ ტიბეთაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მალხაზ ხალვაშის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
28	სოფელ კვამტაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მამუკა სირაზიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
29	სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მერი ხარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
30	სოფელ ახოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მზევინარ ნაკაშიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
31	დაბა ქედაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მზისა ნაკაშიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
32	სოფელ კვამტაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მირზა გათენაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
33	სოფელ ოქტომბერში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მირონ გორგაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
34	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მურმან ზაქარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
35	სოფელ მეძიბნაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნათელა დუმბაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
36	სოფელ ინაშარიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნათელა მორთულაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
37	დაბა ქედაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნათელა შერვაშიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
38	სოფელ კოკოტაურში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნანი თავართქილაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
39	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნანული მუკუტაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
40	სოფელ ცხმორისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნოდარ მიქელაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
41	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ნუგზარ ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
42	სოფელ ჩეტკიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული რეზო ბოლქვაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა

10 977	10 977	0	100%
8 304	8 304	0	100%
7 310	7 310	0	100%
12 537	12 537	0	100%
14 346	14 346	0	100%
15 687	15 687	0	100%
3 650	3 650	0	100%
20 000	20 000	0	100%
12 260	12 260	0	100%
9 202	9 202	0	100%
7 305	7 305	0	100%
3 097	3 097	0	100%
11 802	11 802	0	100%
8 278	8 278	0	100%
7 318	7 318	0	100%
4 353	4 353	0	100%

43	სოფელ კვაშტაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული როლანდ გათენადის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
44	სოფელ ტიბეთაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული როლანდ ხალვაშის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
45	სოფელ ტაკიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული უშანგი ავალიანის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
46	სოფელ გეგელიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ფაცია ცინცაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
47	სოფელ დანდალოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული შაგურ არძენაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
48	სოფელ ტაკიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული შაქრო ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
49	სოფელ სიხალიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ჯამბულ თურმანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
50	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ჯუმბერ ზაქარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
51	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ამირან ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
52	სოფელ აგოთაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ანზორ დუმბაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
53	სოფელ კუჭულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული არჩილ გორგაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
54	სოფელ სიხალიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ბადრი თურმანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
55	სოფელ მედიბნაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ბეჟან დუმბაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
56	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული გელა ჩხეიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
57	სოფელ სირაბიძეებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული გენადი დიასამიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა
58	სოფელ ახოში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული გია ბოლქვაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა

431 915

9 068	9 068	0	100%
11 340	11 340	0	100%
10 343	10 343	0	100%
8 234	8 234	0	100%
11 027	11 027	0	100%
4 257	4 257	0	100%
5 442	5 442	0	100%
11 453	11 453	0	100%
12 633	12 633	0	100%
12 456	12 456	0	100%
8 391	8 391	0	100%
5 093	5 093	0	100%
10 905	10 905	0	100%
10 289	10 289	0	100%
13 553	13 553	0	100%
7 303	7 303	0	100%

59	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული გუგული ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		5 309	5 309	0	100%	
60	სოფელ მეძიბნაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული დანიელ დუმბაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 777	8 777	0	100%	
61	სოფელ გუნდაურში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ელენე შანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 730	9 730	0	100%	
62	სოფელ პირველ მაისში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ვიოლა თეზიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		5 316	5 316	0	100%	
63	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ზაზა ზაქარაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		3 644	3 644	0	100%	
64	სოფელ კოკოტაურში სტიქიის შედეგად დაზარალებული თამაზ გოლომანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		9 191	9 191	0	100%	
65	სოფელ ჯალაბაშვილებში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ანზორ ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		8 462	8 462	0	100%	
66	დაბა ქედაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ეთერ სურმანიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		7 960	7 960	0	100%	
67	სოფელ ხარაულაში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული მურად დიასამიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა		20 000	20 000	0	100%	
68	სოფელ ზესოფელში მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული დემეტრე ბერიძის ოჯახისათვის დახმარების გაწევა	20 000	20 000	0	100%		
ჯ ა მ ი		640 495	640 495	640 495	0	100%	

აჭარის ა/რ 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი
სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

N	დასახელება	თანხა (ლარი)	2026 წლის 6 თვე				
			გეგმა	ფაქტი	სხვაობა	შესრულებ ის %	შენიშვნა
1	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	500 000	500 000	458 787	41 213	92%	
2	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 824 000	912 000	702 216	209 784	77%	
ჯ ა მ ი		2 324 000	1 412 000	1 161 003	1 162 997	82%	

აჭარის ა/რ 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის
ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები
2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

N	დასახელება	თანხა (ლარი)	2026 წლის 6 თვე				
			გეგმა	ფაქტი	სხვაობა	შესრულები ს %	შენიშვნა
1	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	378 400	278 400	0	278 400	0%	
2	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	3 726 600	1 000 000	432 350	567 650	43%	
3	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	1 430 000	11 600	0	11 600	0%	
4	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	421 000	160 000	0	160 000	0%	
5	სოფელ სირაბიძეების წყალმომარაგება	720 000	120 000	0	120 000	0%	
6	წონიარისის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	500 000	0	0	0	#DIV/0!	
7	სოციალური სახლის მშენებლობა	720 000	0	0	0	#DIV/0!	
8	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	630 000	300 000	0	300 000	0%	
18	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	100 000	50 000	0	50 000	0%	
ჯ ა მ ი		8 626 000	1 920 000	432 350	8 193 650	23%	

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი
მიმდინარე ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები

2026 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

N	დასახელება	თანხა (ლარი)	2026 წლის 6 თვე				
			გეგმა	ფაქტი	სხვაობა	შესრულებ ის %	შენიშვნა
2	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრები (შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა)	167 640	167 600	105 590	62 010	63%	
3	სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა კაპიტალური ტრანსფერი (სსიპ ვახტანგ პაპუნის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა)	188 086	58 786	34 517	24 269	59%	
ჯ ა მ ი		167 640	167 600	105 590	62 050	63%	

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის შოთა ბერიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“, აგრეთვე მუშაობა განახორციელა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

შიდა აუდიტის როლი და ფუნქცია, რომ 2025 წელს გაგვეხადა უფრო ეფექტური, ამისათვის შიდა აუდიტის სუბიექტისთვის მნიშვნელოვან გასატარებელ ღონისძიებად დავსახეთ, თითოეულ ეტაპისათვის დაგვეგეგმა შესაბამისი აქტივობები, ამ მიზნით 2025 წლის დასაწყისში შეხვედრები გავმართეთ მერიის 100% წილის მქონე შპს-ბის და ა.(ა.)ი.პ.-ების ხელმძღვანელებთან, სადაც განვიხილეთ რისკების მართვისა და შიდა კონტროლის შესახებ ცნობიერების გაზრდისკენ მიმართული მოქმედებები, გავაცანით შიდა აუდიტის მიერ განსახორციელებელი აუდიტორული 2025 წლის სამუშაო გეგმა და სხვა საკითხები. აღნიშნული ქმედება ემსახურება იმას, რომ შიდა აუდიტის სუბიექტმა წარმატებულად განახორციელოს აუდიტი და გვექონდეს ინფორმაცია მოლოდინების შესახებ.

ასევე, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სწორად წარმართვისთვის შიდა აუდიტის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყავით დაწესებულების ყველა მენეჯერის ინფორმირება. ჩავატარეთ შეხვედრები ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე განვიხილეთ შიდა და სახელმწიფო აუდიტის მიერ რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრს წარვუდგინეთ როგორც 2024 წლის ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, ასევე მერის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის პერსპექტიული და მიმდინარე სამუშაო გეგმები.

2025 წელს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად აუდიტორული შემოწმება ჩატარდა: 1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაზე. 2. შპს ქედის წყალკანალის მიერ 2023-2025 წლებში განხორციელებულ საქმიანობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაზე. 3. მონიტორინგი ჩატარდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და სახელმწიფო აუდიტის მიერ 2023-2024წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით და შიდა აუდიტის მიერ 2024-2025 წელს ჩატარებული აუდიტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაცია მიწოდებული იქნა სახელმწიფო აუდიტის დეპარტამენტის ჯგუფზე რომელიც აუდიტს ატარებს 2024-2025წწ ქედის მუნიციპალიტეტის საქმიანობის თაობაზე, აღნიშნული ინფორმაცია ანგარიშს თან ერთვის დანართი სახით (8(რვა) ფურცელი).

მოგახსენებთ რომ შიდა აუდიტის მიერ 2024-2025 წელს აცემული იქნა სულ 25 რეკომენდაცია, აღნიშნული რეკომენდაციებიდან 13 რეკომენდაცია შესრულებული იქნა, 11 რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული და ერთი რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სახელმწიფო აუდიტის მიერ 2022-2023 წელს შესწავლილი საქმიანობის თაობაზე გაცემული იქნა 7 რეკომენდაცია, აქედან სრულყოფილად შესრულებაში სახელმწიფო აუდიტმა ჩაგვითვალა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია დანარჩენი ექვსი რეკომენდაცია კი ჩათვლილი აქვს ნაწილობრივ შესრულებულად, თუმცა რეკომენდაციების შესასრულებლად მუშაობა ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში კეთდებოდა რეკომენდაციების გაცემა 100%-იანი წილის მექანე შპს და ა.(ა)ი.პ.-ის ხელმძღვანელების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებში მომუშავე პირების მიმართ სხვადასხვა საკითხების უკეთ წარმართვის მიზნით (ეფექტიანობის და ეფექტურობის, მათი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის, რისკების მართვის და სხვა საკითხებზე).

შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სამსახურის უფროსის მხრიდან ხორციელდება აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შეფასება. აღნიშნული შეფასება მოიცავს აუდიტის სუბიექტის დებულებასთან, სტანდარტებთან და შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, ასევე საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

შიდა აუდიტის სამსახური მჭიდრო კავშირშია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „ჰარმონიზაციის ცენტრთან“, საიდანაც ვღებულობთ

ინსტრუქციებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. თითქმის ყოველ თვიურად მონაწილეობას ვლდებულობ მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

სამსახურის უკეთ წარმართვისა და შიდა აუდიტორთა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის მიზნით აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურში აუდიტორთა რიცხოვნობის გაზრდა სამ საშტატო ერთეულამდე, რითაც შესაძლებელი იქნება სამსახურის სარეკომენდაციო და საკონსულტაციო საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

რისკის მართვაზე ორიენტირებული მიდგომები ჯერ კიდევ სრულყოფილი არ არის, თუმცა დიდი პერსპექტივით გამოირჩევა, სამსახურის მიდგომა ისეთია რომ მენეჯმენტს დაეხმაროს რისკების მართვის სისტემის დანერგვაში, მათ შორის კონსულტაციების მიწოდებით და ტრენინგების ორგანიზებით. ცალკეული სტრუქტურული ერთეულები მათი საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე კონსულტაციებთან ერთად ვაწვდით ფაქტიურად გამოვლენილი და იდენტიფიცირებული რისკების რეესტრს, რისკზე დაფუძნებული მენეჯმენტის დანერგვისა და შემდგომი სრულყოფისათვის.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ვთანამშრომლობთ სახელმწიფო აუდიტთან, შიდა აუდიტის სამსახური კვლავ განახორციელებს საქმიანობას რომელიც უშუალოდ უკავშირდება შიდა აუდიტორულ საქმიანობას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

შიდა აუდიტის სამსახურმა 2025 წლის წლიური გეგმის შედგენისას იხელმძღვანელა 2024-2026 წლების სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე და აუდიტის ობიექტისგან ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდებით, კერძოდ: აუდიტის ობიექტის შერჩევის დროს გამოყენებული იქნა პრიორიტეტულობის განსაზღვრის მეთოდი (აუდიტის ობიექტის შეწონვა მინიჭებული ქულების მიხედვით და აუტიდის რეიტინგის განსაზღვრა) რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებულ სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმებები, სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და მიზნობრიობის თაობაზე.

2025 წელს დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად გადამოწმებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და სახელმწიფო აუდიტის მიერ 2023-2024 წწ გაცემული რეკომენდაციების შესრულება. კერძოდ:

1. შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“ ხელმძღვანელობაზე გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

№1 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-მა გამოუყენებელი სადურგლო საამქრო კანონმდებლობის დაცვით დაუბრუნოს დამფუძნებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას ან გაქირავების გზით მიიღოს დამატებითი შემოსავალი. შემოწმებით დადასტურდა რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

№2 _ არსებული ინვენტარი დაინომროს და ჩაბარდეს პასუხისმგებელ პირებს. რეკომენდაცია შესრულებულია.

№3 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს კუთვნილ სპეც-ტექნიკაზე 2025 წლის 01 იანვრამდე დამონტაჟებული იქნას „ჯიპიარესი“-ს სისტემა. რეკომენდაცია შესრულებულია.

№4 -ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოამზადოს სპეც-ტექნიკის გამოყენების წესი ისე, რომ მოხდეს ადგილობრივი

მოსახლეობის თანადაფინანსებით მომსახურება და ორგანიზაციის შემოსავლების გაზრდა. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულების პროცესშია, თანხმობა არის გასაკეთებელი მერიის შესაბამის სამსახურებიდან და მუნიციპალიტეტის მერისგან.

№5 -მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე. რეკომენდაცია შესრულებულია.

№6 -მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუვნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღვები, კატები) ცხოველების რაოდენობა. რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, შემცირებული მაწანწალა კატებისა და ძაღვების რაოდენობა.

2. ქედის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის გაფართოვების აუდიტისას გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა ახალი გარეგანათების ბოძების შესყიდვების დროს გაითვალისწინოს ბოძების დანომვრის პირობა, რაც მინიმუმამდე შეამცირებს სხვადასხვა რისკების მოხდენის ალბათობას. 2025 წელს აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა.

2) შპს ქედის კომუნალურსერვისმა მოახდინოს გარე განათების ბოძების ინვენტარიზაცია, დანომრვა და მისი აღრიცხვა ნომრების მიხედვით. **აღნიშნულ რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობა შპს ქედის კომუნალურსერვისის მიერ მიმდინარეობს და მიმდინარე წლის ინვენტარიზაციის მსვლელობის პერიოდში წლის ბოლომდე დამთავდება.**

3. ა.ა)ი.პ. “ქედის ისტორიული მუზეუმი”-ს აუდიტზე გაიცა რეკომენდაცია:

1) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარტნიორთან შეთანხმებით შეიმუშაოს მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების დათვალიერებისათვის გადასახადის დაწესების წესი. რეკომენდაცია არ შესრულებულა. შეთანხმება ვერ მოხერხდა მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან (ეკონომიკის, საფინანსო, კულტურის).

2) დაიცვას საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, სამუზეუმო ექსპონატების დაცვისა და შენახვის წესის შესაბამისად. რეკომენდაცია შესრულებულია.

3) უზრუნველყოს ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. რეკომენდაცია არ შესრულებულა იმის გამო რომ მუზეუმი განთავსებულია ისეთ შენობაში (მეორე სართულზე) რომ ადაპტირებული გარემოს შექმნა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ამიტომ მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა გამოინახოს შესაბამისი თანხები ახალი მუზეუმის შენობის ასაშენებლად.

4) იზრუნოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და სერთიფიცირებისათვის. მიმდინა წელს გადამზადებული იქნა ოთხი თანამშრომელი.

5) სრულად დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ. რეკომენდაცია შესრულებულია და წლის ბოლომდე საინვენტარიზაციო კომისიის მიერ დანომრული იქნება ყველა ქონება, აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებული იქნა ა(ა)იპ ქედის მუზეუმის დირექტორისაგან.

ასევე, შიდა აუდიტის სამსახურმა მოამზადა სახელმწიფო აუდიტის მიერ ჩატარებული ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული საკითხების სამოქმედო გეგმა, რომელიც აყვანილია ყოველდღიურ მონიტორინგზე, აღნიშნული შესრულება გადაყვანილია ელექტრონულ სივრცეში, სადაც დამტკიცებული ვარ რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ II დონის შემსრულებლად. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 2025 წლის 30 ივლისამდე მოხსენებული იქნა როგორც მუნიციპალიტეტის მერზე ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე. რეკომენდაციების საბოლოო შესრულებაზე 2025 წლის ბოლომდე დამატებით ეცნობა მუნიციპალიტეტის მერს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

ამასთან შიდა აუდიტის სამსახურმა 2025 წლის სამუშაო გეგმიდან გამომდინარე შეისწავლა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიზნობრივი პროგრამები რომელსაც მოგახსენებთ რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 დეკემბრის N21 დადგენილებით დამტკიცდა, ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლითაც განისაზღვრა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა საერთო ღირებულება განისაზღვრა 2273887 ლარით, წლის განმავლობაში ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი გაზრდილია და შეადგინა 3350290 ლარი, ხოლო საბოლოო შესრულებამ შეადგინა 3286787,33 ლარი, რაც გეგმის 98,1 %-ს შეადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური 2024 წელს პროგრამების სახეები და მათზე გათვალისწინებული თანხები შემდეგნაირად არის წარმოდგენილი.

2024 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამები დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, პროგრამებში 2024 წელს განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ: 29.12.2023 წელი 29.12.2023 წელი, ბოლო ცვლილება განხორციელდა 28.12.2024 წელს და დამტკიცებული იქნა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები, კერძოდ:

1 "სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის" პროგრამა (ლარი) 32000 ლარი, 32000 ლარი, 32 000 ლარი. აღნიშნულ პროგრამაზე გახარჯული იქნა 31476 ლარი.

- 2 "ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების" მიზნობრივი პროგრამა 81750 ლარი, 89190 ლარი, 89190 ლარით. გახარჯული იქნა 88 930 ლარი.
- 3 "ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა 105 000 ლარი, 106 500 ლარი, გახარჯული იქნა 106 500 ლარი.
- 4 „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების" მიზნობრივი პროგრამა (ლარი) 37500 ლარი, 45000 ლარი, 45000 ლარით. სულ გახარჯულია 45000 ლარი.
- 5 "ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის" მიზნობრივი პროგრამა 32500 ლარი, 37320 ლარი, 37316 ლარით. სულ გახარჯულია 37316 ლარი.
- 6 სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა" (ლარი) 54500 ლარი, 62000 ლარი, 62000 ლარი. სულ გახარჯულია 61906 ლარი.
- 7 "შველ საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა " 220700 ლარი, 265645 ლარი, 303400 ლარი. გაიხარჯა 265645 ლარი.
- 8 მოვლის საჭიროებების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება (ლარი) 165500 ლარი, 374000 ლარი, 373750 ლარი. სულ გახარჯულია 373675 ლარი.
- 9 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება (ლარი) 14400 ლარი, 19200 ლარი, 19200 ლარი. სულ გახარჯულია 18378 ლარი.
10. საქმიანობათა ცენტრში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობა (ლარი) 26200 ლარი, 26200 ლარი, 26200 ლარი. სულ გახარჯულია 26200 ლარი.
11. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება (ლარი) 286700 ლარი, 1163000 ლარი, 1163000 ლარი. სულ გახარჯულია 1163050 ლარი.
12. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალ დაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება (ლარი) 87 600ლარი, 99 600 ლარი, 99 600ლარი. სულ გახარჯულია 99400 ლარი.
13. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიაში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (ლარი) 138 700 ლარი, 142 280 ლარი, 142280 ლარით. სულ გახარჯულია 126700 ლარი.
14. სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება (ლარი) 160665 ლარი, 197500 ლარი, 197500 ლარით. სულ გახარჯულია 197428 ლარი.
15. თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის მიზნობრივი პროგრამა (ლარი) 93600 ლარი, 93600 ლარი, 93600 ლარით, სულ გახარჯულია 93600 ლარი.

16. ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება (ლარი) 80000 ლარი, 80000 ლარი, 80000 ლარით. სულ გახარჯულია 75746 ლარი.

17. მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ლარი) 440000 ლარი, 470000 ლარი, 470000 ლარით. სულ გახარჯულია 466503 ლარი.

18. ქრონიკული დაავადების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ლარი) 8275 ლარი, 9400 ლარი, 9400 ლარით. სულ გახარჯულია 9309 ლარი.

პროგრამების (ქვეპროგრამების) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პირველი პროგრამა: „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 32000 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 31476 ლარი. საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე დღიურად დაიხარჯა 3,45 ლარი.

მონიტორინგით გაირკვა, „სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ განხორციელებისათვის 2024 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა ფირმა ი/მ „დარეჯან გორგაძე“-მ ტენდერი მოიგო 31476 ლარად. მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებდა 25 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას. ი/მ „დარეჯან გორგაძე“ ყოველდღიურად წარმოადგენდა დოკუმენტაციას გაწეული მომსახურების დასასაბუთებლად, რომლის საფუძველზეც მას ერიცხებოდა ბიუჯეტიდან თანხა.

აღნიშნულ პერიოდში რამოდენიმეჯერ ჩატარდა მონიტორინგი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, სადაც დარღვევებს ადგილი არ ქონია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იყო შემთხვევები, როცა ბენეფიციარები ყოველდღიურად არ ცხადდებოდნენ საკვების მისაღებად, მაშინ როცა კეთდებოდა მათი წილიც.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის რეკომენდირებულია სამსახურის მიერ უკეთესად ჩატარდეს ბაზრის კვლევა რადგანაც ტენდერში მონაწილეებმა არ დასწიონ ბენეფიციარებზე განკუთვნილი პროდუქტების ფასები და არ შეიძინოს უხარისხო პროდუქტი.

მეორე პროგრამა: „ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 89190 ლარი, აღნიშნული პროგრამა მოიცავდა ოთხ ღონისძიებას, კერძოდ: 1) 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ერთი ოჯახი და მასზე დახარჯულია 2000 ლარი. 2) ვეტერანის გარდაცვალებისთვის ხარჯები თითო ბენეფიციარზე იხარჯება 500 ლარი, რამაც 2024 წელს შეადგინა 2000 ლარი. 3) ვეტერანთათვის თხევადი აირის შეძენა, სადაც 215 ოჯახი ყოველწლიურად ღებულობს 80 კგ თხევად გაზს, რაც შეადგენს წლიურად 44790 ლარს. 4) ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რამაც წლიურად 40400 ლარი შეადგინა. ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე წლის მანძილზე გაიხარჯა 88930,4 ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის 99,7%-ია.

მესამე პროგრამა: „ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს გათვალისწინებული იყო - 106500 ლარი, ხოლო შესრულებამ შეადგინა 106500 ლარი. პროგრამით ისარგებლა 71-მა ოჯახმა და თითოეულმა მიიღო 1500 ლარი ერთჯერადად.

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოდგენილი აქვთ პროგრამით სარგებლობისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია, კერძოდ განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები დედანთან ერთად, შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად და საბანკო რეკვიზიტები. მონიტორინგით დარღვევებს ადგილი არ ქონია.

მეოთხე პროგრამა: „გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო - 45000 ლარი, საიდანაც წლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 90 ოჯახმა, თითოეულ ოჯახს 500-500 ლარი ჩაერიცხა, სულ დაიხარჯა 45000 ლარი.

პროგრამით სარგებლობა შეეძლო სოციალურად დაუცველ 0-დან 70 000 ქულის მქონე ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ოჯახებს. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვს განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად, გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად, ოჯახის სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი მოწმობა გაცემული სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის განყოფილების მიერ და საბანკო რეკვიზიტები.

მეხუთე პროგრამა: „ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 37320 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე დაიხარჯა 37316 ლარი, აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.

მექვესე პროგრამა: „სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 62000 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე შესაბამისად გაიხარჯა 61906 ლარი.

მეშვიდე პროგრამა: "ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა " რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 303400 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე შესაბამისად გაიხარჯა 265644 ლარი.

პროგრამის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებული და ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

პროგრამით სარგებლობა შეეძლო 0-დან 100000-მდე სოციალური ქულის მქონე ოჯახებს, საიდანაც ბენეფიციართა შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერის შექმნილი დროებითი კომისიის მიერ. ამჟამად მოქმედებს დროებითი კომისია, რომელიც შექმნილია ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 მარტის №179 ბრძანებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ, ხდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, იმ ბენეფიციარებისთვის, რომლებისთვისაც გადაწყდა ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლა.

2024 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო ოთხი ახალი სახლის მშენებლობა.

2024 წელს დაიგეგმა და აშენდა სულ ოთხი საცხოვრებელი სახლი.

ცხრილი №1

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი სახლით შეცვლის პროგრამით 2024 წელს აშენებული სახლები

№ ხელშეკრულების ნომერი, ხელშეკრულების გაფორმების დრო NAT სად აშენდა სახლი და ვის მიერ ვისი საკუთრებაა დაგეგმილი თანხა ფაქტიური ხარჯი შენიშვნა (დასრულებული მშენებლობა და ჩაბარდა თუ მიმდინარეა მშენებლობა)

1 №20 26იანვარი 2024 წელი 230026378 ქედის მუნიციპალიტეტი სოფელი აგოთაში და სოფელ კოკოტაურში 163136 157903,11 ხელშეკრულებით მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2024 წლის 28 აგვისტომდე.

2 №21 26იანვარი 2024 წელი 230026379 სოფელი პირველი მაისი 163136 149887,24 ხელშეკრულებით მშენებლობა უნდა დასრულებულიყო 2024 წლის 28 აგვისტომდე.

2023 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი NAT230026378, სოფელ აგოთაში და სოფელ კოკოტაურში ბეტონის საცხოვრებელი სახლის ტიპური შენობის მშენებლობაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ოთხმა პრეტენდენტმა, საიდანაც №20 ხელშეკრულება 2024 წლის 26 იანვარს გაფორმდა შპს „დიასი“-სთან, 157903.11 ლარზე, ხელშეკრულებით სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 180 კალენდარული დღე და ეს ვადა დაიყო ხუთ ეტაპად გეგმა გრაფიკის მიხედვით, ანუ პირველ და მეორე ეტაპი მოიცავს 30-30 კალენდარულ დღეს, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე 40-40 კალენდარულ დღეს. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 2024 წლის 1 მარტს.

2024 წლის 29 მარტს ხელშეკრულებაში შევიდა პირველი ცვლილება, რაც გამოწვეული იყო სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზების მეწყერული პროცესებით გამოწვეული დაზიანებებით, რის გამოც ცვლილებების შედეგად გაერთიანდა პირველი და მეორე ეტაპის შესრულების ვადები.

ხელშეკრულებაში მეორე ცვლილება შევიდა 2024 წლის 26 აპრილს, რაც გამოწვეული იყო სოფელ აგოთაში ობიექტზე მისასვლელი გზის მეწყერული პროცესების გამო, რის გამოც საჭირო დარჩა პირველი ეტაპის სამუშაოების გახანგრძლივება 85 კალენდარული დღით, რის შედეგადაც სამუშაოების საბოლოო დასრულების ვადად განისაზღვრა 265 კალენდარული დღით 2024 წლის 21 ნოემბრამდე, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 21 დეკემბრამდე.

ხელშეკრულებაში მესამე ცვლილება შევიდა 2024 წლის 31 დეკემბერს, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების ვადა ამოიწურა 2024 წლის 21 ნოემბერს და 21 ნოემბრის შემდეგ მშენებელი კომპანია სამუშაოებს აგრძელებდა ჯარიმების ფონზე, შესრულებული სამუშაოების თანხის ანაზღაურებისათვის საჭირო გახდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელებულიყო 2025 წლის 30 მარტამდე ჯარიმების ფონზე.

ხელშეკრულებაში მეოთხე ცვლილება შევიდა 2025 წლის 1 აპრილს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებული იყო საჭირო იყო დრო ფინანსური ოპერაციების განხორციელების მიზნით, რის გამოც ხელშეკრულების მოქმედების ვადა გახანგრძლივდა 30 აპრილამდე.

ანალოგიურად განხორციელდა 2024 წელს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გაფორმებულ (NAT230026379) №21 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადების ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მერიის მშენებლობის და ინფრასტრუქტურის სამსახურისა და სატენდერო კომისიის მიერ მომზადებული სატენდერო პირობებით არასაკმარისად ხდება ვადებთან დაკავშირებით სიტუაციის ზუსტი ანალიზი და არსებული რისკების შეფასება, რის გამოც ხშირია შემდგომში სახელშეკრულებო პირობების ცვლილებები.

მერვე პროგრამა: „მოვლის საჭიროებების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 374000 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გაიხარჯა 373675 ლარი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 129 ბენეფიციართა ოჯახმა.

მეცხრე პროგრამა: „0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 19200 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გაიხარჯა 18377,65 ლარი. ამ პროგრამით ისარგებლა 83-მა ბენეფიციარმა.

მეათე პროგრამა: „საქმიანობათა ცენტრში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობა“ მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და წითელ ჯვართან გაფორმებულია მემორანდუმი, რის საფუძველზეც ხდება ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხის ხარჯვა, პროგრამით 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 26200 ლარი, საიდანაც წლის მანძილზე გაიხარჯა 26200 ლარი.

მეთერთმეტე პროგრამა: „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1163000 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 1163000 ლარი. პროგრამაში ჩართულ თითოეულ ოჯახს საცხოვრებელი ფართის ქირისათვის ყოველთვიურად ერიცხებოდათ 400 ლარი. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიურად საშუალოდ ისარგებლა 282 ოჯახმა.

მეთორმეტე პროგრამა: „მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალ დაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 99600 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 99400 ლარი. პროგრამით ისარგებლა 82-მა ბენეფიციარმა.

მეცამეტე პროგრამა: „მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიაში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 142280 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 126700,66 ლარი.

მეთოთხმეტე პროგრამა: „სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 197500 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა 197427,6 ლარი.

მეთხუთმეტე პროგრამა: „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის მიზნობრივი პროგრამა“, რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 93600 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 93600 ლარი. პროგრამით ისარგებლა 500 ბენეფიციარმა.

მეთექვსმეტე პროგრამა: „ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 80000 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 75745,87 ლარი. პროგრამით ისარგებლა 222 ბენეფიციარმა.

მეჩვიდმეტე პროგრამა: „მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 470000 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 466503 ლარი. პროგრამით ისარგებლა 2350-მა ბენეფიციარმა.

მეთვრამეტე პროგრამა: „ქრონიკული დაავადების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა“ რომლისთვისაც 2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 9400 ლარი, ხოლო ათვისებამ შეადგინა 9309,3 ლარი. პროგრამით ისარგებლა 16-მა ბენეფიციარმა.

რეკომენდაცია:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა (ბატონი დ. თედორაძე):

- კონტროლზე იქნას აყვანილი სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა (სისუფთავის დაცვა, საკვები პროდუქტების ვარგისიანობა, მისი ხარისხის დაცვა, ბენეფიციარების გამოცხადება და სხვა.)

- სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურმა, გაითვალისწინოს სატენდერო პირობების ჩამოყალიბებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების განსაზღვრის დროს სამუშაოების შესრულების გონივრული ვადების განსაზღვრა, განხორციელდეს სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა, სამშენებლო პერიოდში ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის სავარაუდო გართულებები, რომ შემდგომში შემცირდეს სახელშეკრულებო ვალდებულებებში ცვლილებების საჭიროება.

ასევე შიდა აუდიტის სამსახურმა მონიტორინგი ჩაატარა შპს ქედის წყალკანალის მიერ განხორციელებულ საქმიანობის თაობაზე, აუდიტის შედეგებზე მოგახსენებთ რომ:

1. შესავალი

ხელმძღვანელობის

პასუხისმგებლობა

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“ ხელმძღვანელობა

პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარად წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონ შესაბამოებებს.

აუდიტის

პასუხისმგებლობა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა აუდიტის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული რეკომენდაციების გასაკეთებლად.

აუდიტის

საგანი

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს 2023-2024 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

[Redacted]

აუდიტის

მასშტაბი

აუდიტის მასშტაბი განისაზღვრა 2023 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს საქმიანობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობა.

[Redacted]

აუდიტის

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.
- კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.
- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბერის: №22 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.
- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბერის №14 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.
- შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს წესდება

აუდიტის მიზანი

ა) რეკომენდაციების ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმებთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლისათვის მიწოდება მიგნებების და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

აუდიტის

მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- დოკუმენტური შემოწმება;
- ფიზიკური დათვალიერება;
- შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს თანამშრომლებთან გასაუბრება;

ზოგადი ინფორმაცია

აუდიტის ობიექტის

შესახებ

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს პარტნიორია ქედის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელია. საზოგადოება შექმნილია მოგების მიღების მიზნით.

შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს წესდების დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია - ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 დეკემბრის №94 ბრძანება.

აღნიშნული წესდების თანახმად შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

ა) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების ექსპლუატაცია და მისი შემდგომი განვითარება.

ბ) წყალმიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა.

გ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა.

დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა.

ე) საზოგადოების ინფორმირება წყლის წარმოების ეფექტურად გამოყენებისა და წყლის გახარჯვის შეზღუდვების შესახებ;

ვ) მრიცხველთა დაყენების ხელშეწყობა.

დ) შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოების მართველი ორგანოებია: საერთო კრება და ხელმძღვანელი ორგანო-დირექტორი.

წესდების თანახმად შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას, მორიგ საერთო კრებას იწვევს და მისი ჩატარებისათვის პასუხისმგებელია საზოგადოების პასუხისმგებელი ორგანო-დირექტორი.

პარტნიორთა გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია შემდეგ საკითხებზე:

საერთო კრების უფლებამოსილებაა:

ა) ფინანსური ანგარიშის დამტკიცება

ბ) საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება

გ) ხელმძღვანელი პირის თანამდებობაზე დანიშვნა, მასთან სასამსახურო ხელშეკრულების დადება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება

დ) დირექტორის ანგარიშების დამტკიცება

საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად, იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

2. აუდიტის მიგნება



შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს ძირითადი საქმიანობის მონიტორინგი

წესდებიდან გამომდინარე ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს:

ა) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის ექსპლუატაციის და მისი შემდგომი განვითარება.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2023 წელს შპს ქედის წყალკანალში დასაქმებული იყო 67 თანამშრომელი, დასაქმებულთა წლიურმა სახელფასო ფონდმა შეადგინა 343754 ლარი შეადგინა, 2024 წელს მუშაობდა 67 კაცი და მათმა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 513563 ლარი შეადგინა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ არსებული 25 მაგისტრალიდან მხოლოდ 13 მაგისტრალია შპს ქედის წყალკანალის ბალანსზე : 171033,13 ლარის საბალანსო ღირებულებით, ასევე გადაცემულია 29 ერთეული საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემა: 37890,62 ლარის საბალანსო ღირებულებით იხ დანართი N1: იხ, დანართი N2,

მიზანშეწონილად მიმაჩნია შპს ქედის წყალკანალის ხელმძღვანელობამ იზრუნოს დასარეგისტრირებელი წყალსადენების, აუზების, სათავე ნაგებობების და საკანალიზაციო სისტემის საწარმოს ბალანსზე აყვანის საკითხის მოგვარებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

რეკომენდაცია:

N1 შპს ქედის წყალკანალის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული (წყალსადენები, სათავე ნაგებობები, წყლის აუზები და საკანალიზაციო სისტემები) რომელიც მათ ბალანსზე არ აღირიცხება, საბალანსო ღირებულებების დადგენისა და სხვა მაჩვენებლების შესაბამისად მოითხოვოს მერიის ბალანსიდან, შპს ქედის წყალკანალის ბალანსზე გადაცემის საკითხის მოგვარება 2026 წლის 01 აპრილამდე.

2023-2024 წლებში შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური რესურსები და მისი ხარჯვის მდგომარეობა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 28 დეკემბერს №22 დადგენილებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელშიც შპს „ქედის წყალკანალი“-სთვის სუბსიდიის თანხა გათვალისწინებული იყო 558626,95 ლარი. კორექტირების შემდეგ საბოლოოდ განისაზღვრა სუბსიდია 584848 ლარით

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2023 წლის 1 იანვრისათვის შპს „ქედის წყალკანალს“ ნაშთად ერიცხებოდა ნაღდი ფული რეზიდენტ ბანკში 6,05 ლარი, მას 12 თვის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 584848,77 ლარის სუბსიდია,

შპს ქედის წყალკანალს თავისი წესდებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმის, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. თუმცა, საწარმოს 2023 წელს დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით საქმიანობა არ განუხორციელებია და საკუთარი შემოსავალიც არ მიუღია, სულ ფულადმა რესურსმა 2023 წლისათვის შეადგინა 584848 ლარი.

2023 წელს ზემოთ დასახელებული სუბსიდია გახარჯული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული თანხის ოდენობით, შრომის ანაზღაურებაზე და ფულად ჯილდოზე გაცემულ იქნა 376794,86 ლარი, საწვავის შესაძენად გაიხარჯა 30593,27 ლარი, საბანკო მომსახურებაზე 163,86 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯმა 253,45 ლარი შეადგინა, ავტომანქანების რემონტზე გაიხარჯა 24834,07 ლარი, მატერიალური მარაგების შეძენაზე - 35562,25 ლარი, საკანცელარიო ხარჯმა 1179,20 ლარი შეადგინა, მივლინებაზე გაიხარჯა 36 ლარი, კავშირგაბმულობის მომსახურებაზე 2898,60 ლარი, მიწის გადასახადის თანხამ 16676,88 ლარი შეადგინა, ტერიტორიული დასუფთავების გადასახადში გადახდილია 700 ლარი, უნიფორმის შეძენაზე დაიხარჯა 15956 ლარი (რომლითაც შეძენილია მუშაკებისათვის, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა დასახელების ფორმები) წყლის ლაბორატორიის კვლევებზე გადახდილია 10800 ლარი (წყლის კვლევასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სსიპ „ ლაბორატორიული კვლევით ცენტრთან“) დადებული ხელშეკრულების თანახმად უნდა ტარდებოდეს სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური კვლევა (სუნი, გემო, ფერიანობა, სიმღრივე, წყალბადის მაჩვენებელი, მშრალი ნაშტი, ნარჩენი ქლორი, სულფატები, ნიტრატები, ქლორიდები, ალუმინი და სხვა) კვლევა ტარდება ეტაპობრივად, 2023 წელს ჩატარებულია 4-ჯერ, ხოლო 2024 წელს 3-ჯერ. რაზედაც გადახდილია შესაბამისად 2023 წელს 10800 ლარი. 2024 წელს 8100 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 29 დეკემბრის N14 დადგენილებით დამტკიცდა შპს ქედის წყალკანალზე 2024 წელს გასაცემი სუბსიდია 646883 ლარის ოდენობით, აღნიშნული თანხის ოდენობა 62035 ლარით მეტია 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით. სუბსიდირების ზრდა წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: 2024 წელს წარმოებაში დასაქმებულ 67 თანამშრომელზე გაცემული

იქნა შრომის ანაზღაურება 521813,94 ლარი (რომელიც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 145019,08 ლარით. მუშაკებზე ხელფასების 10% მატებით, აგრეთვე გაცემული იქნა ყველა მუშაკზე თანხა ჯილდოს სახით 24205,44ლარი (ყველა მუშაკზე გაცემული იქნა ასანაზღაურებელი თანხის 60%, აღნიშნული ჯილდოს გაცემა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონი „ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მუხლი-14 თან. კერძოდ ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურე მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგძლივი და კეთილდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განასაკუთრებული სირთულის, ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ფულადი ჯილდო, ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

აღნიშნული კანონიდან გამომდინარე ჯილდოს გაცემა უნდა მომხდარიყო დასაბუთებული, ხელმძღვანელის ბრძანებით. (დირექტორმა თავისი ბრძანებით ყველა მუშაკზე თანაბრად გასცა ფულადი ჯილდო, თვითური ხელფასის 60% ოდენობით)..

სუბსიდიის თანხიდან გაწეულ მომსახურებაზე სულ გაიხარჯა 646871,66 ლარი, მათ შორის საწვავის შესაძენად გაიხარჯა 32180,26 ლარი, საბანკო მომსახურებაზე გაიხარჯა 144,52 ლარი, ელექ, ენერგიის მომსახურებაზე გაიხარჯა 673,65 ლარი, მარაგ ნაწილების შეძენაზე 20558 ლარი, ავტომანქანების რემონტზე გაიხარჯა 15212 ლარი, ავტოსატრასპორტო ნაწილების (საბურავები, აკუმულატორები) შესაძენად გაიხარჯა 6268 ლარი, საკანცელარიო მასალის შეძენაზე გაიხარჯა 504,50- ლარი, მივლინებაზე გაიხარჯა 870 ლარი, კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 3751,94 ლარი, მიწის გადასახადმა 16650 ლარი შეადგინა, ტერიტორიული დასუფთავების გადასახადმა 649,30 ლარი, უნიფორმის შეძენაზე დაიხარჯა 4833 ლარი, წყლის ლაბორატორიულ კვლევებზე დაიხარჯა 8100 ლარი

შპს ქედის წყალკანალის საკასო შესრულებამ 2023-2024 წლის იხ, დანართი N3 და დანართი N4.

საშტატო ნუსხა 2023 და 2024 წლისა იხ, დანართიN5 და დანართი N6. რომელიც დამტკიცებულია საწარმოს ხელმძღვანელის მიერ და შეთანხმებული მუნიციპალიტეტის მერთად ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ასე მაგალითად: თუ საწარმოში 2022 წელს დასაქმებულთა რიცხოვნობა იყო 59 კაცი და მათზე გაცემულმა შრომის

ანაზღაურებამ შეადგინა 269305 ლარი, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 65 საშტატო ერთეულამდე გაიზარდა და გაცემული იქნა 400065 ლარი, ანალოგიურად 2024 წელს 2023 წელთან შედარებით კვლავ გაიზარდა შტატები 67 ერთეულამდე და გაცემული იქნა მათზე 513536 ლარი, ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული ხარჯეფექტურობა, ამასთან ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს მოგების მიღებაზე, თუნდაც გამოდინარე იქიდან რომ წყალსადენების სისტემაზე დასაქმებულთა რაოდენობა განსაზღვროს წყალსადენის სირთულის მიხედვით (ბუნებრივი პირობები, მაგისტრალის სიგრძე, აუზების რაოდენობა და სხვა,) და არა ისე როგორც გათვალისწინებული ყავს თითქმის ყველა წყალსადენზე 2 დან ხუთ კაცამდე.

ამასთან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ავტოსამრეცხაოები, აღნიშნული ობიექტების ფლობელებს აქვთ ეკონომიკური შემოსავალი, წყალი მიერთებული აქვთ წყლის მაგისტრალზე ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ავტოსამრეცხაოებიდან წყალკანალის ბალანზე არცერთი შემოსავალი არ დაფიქრებულა. საჭიროდ მიმაჩნია შპს ქედის წყალკანალმა შემოსავლების გაზრდის მიზნით, მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად გამონახოს გზები წყალკანალის სისტემაზე უკანონოდ მიერთებული წყლის ხარჯიდან თავისი შემოსავლების გაზრდისათვის.

შპს ქედის წყალკანალის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას, შემოწმებით დაგინდა რომ არის ფაქტები როცა შტატგარეშე დასაქმებული პირების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება არ ხდება, ასევე 2024 წელს შტატგარეშედ დასაქმებულ -თერთმეტ თანამშრომლებზე ვერ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც რისკის შემცველია

რეკომენდაცია N2

შპს ქედის წყალკანალის დირექტორმა დანერგოს კონტროლის მექანიზმები რომელიც უზრუნველყოფს არსებული რისკების და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა ფუნქციების მაღალხარისხოვნად შესრულებას, ამასთან შეფასდეს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისუსტეები, შეთავსებით და შტატგარეშედ დასაქმებული პირების სამუშაოზე გამოყენების რისკები და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ავტომაქანების საწვავის ხარჯვისა და მათზე გაწეული სარემონტო სამუშაოების მონიტორინგი.

შპს ქედის წყალკანალის ბალანსზე ირიცხება სამი ერთეული ავტომაქანა, ავტომაქანებზე საწარმოს დირექტორის 2023 წლის 03 იანვრის N01-02/03 ბრძანებით აყვანილია შტატგარეშე მუშაკად სამი მძღოლი.

დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული აქვს საწვავის ხარჯვის ლიმიტი ყოველთვიურად 1100 ლიტრის ოდენობით, კერძოდ:

ავტომაქანა BK-041-BB 400 ლიტრი დიზელი

ავტომაქანა UAZ XX-727-BB 300 ლიტრი ბენზინი

ავტომაქანა ფორდი XV-727-VX 400 ლიტრი დიზელი

სამ ერთეული ავტომაქანაზე 2023 წელს გახარჯულია 30593 ლარის საწვავი, ხოლო 2024 წელს 32180,26 ლარის საწვავი.

მონიტორინგით გაირკვა რომ საგზურებში მარშუტების რაოდენობა ერთი და იგივეა, არსებული შიდა კონტროლის სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტალურად დადასტურებას.

მიზანშეწონილად მიმაჩნია საწვავის ხარჯის დასადასტურებლად აწარმოონ ავტომაქანის მიერ განვლილი მანძილის რეესტრი, სადაც დაფიქსირებულ უნდა იქნას ოდომეტრის ჩვენება. შემოდებული აქვთ საგზაო ფურცლის წარმოება მაგრამ კონკრეტულად არ აღირიცხება სატრანსპორტო ერთეულით შესრულებული სამუშაოები. არ არის იდენტიფიცირებული გადაადგილების დრო, დანიშნულების პუნქტებს შორის მანძილი.

საწარმოში არსებულ სამ ავტომაქანაზე მათი სარემონტო სამუშაოებისათვის გახარჯულია 2023 წელს 24834 ლარი, ხოლო 2024 წელს 15212 ლარი, რაც მაღალი მაჩვენებელია.

რეკომენდაცია N3

შპს ქედის წყალკანალის დირექტორმა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი სისტემა რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის და საწვავის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით უზრუნველყოფს ფულადი სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

შესყიდვების მონიტორინგი:

კრიტერიუმი: საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 და 27-ე მუხლებით. შესყიდვების ძირითადი მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

სატენდერო კომისიამ მიმწოდებლების შერჩევა-შეაფასების პროცესში უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

ფაქტობრივი გარემოება:

2023 წელს შპს ქედის წყალკანალს განხორციელებული აქვს 37 შესყიდვა 107588,28 ლარის ოდენობით. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად, 2023 წელს ჩატარდა 2 ელექტრონული ტენდერი

- 1) სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა,
- 2) ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანის შეკეთება-მომსახურებაზე.

აგრეთვე ჩატარებულია კონსოლიდირებული თერთმეტი მიმართულებით ტენდერი და ასევე 24 ტენდერი გამარტივებული წესითაა ჩატარებული.

შემოწმებით დადგინდა რომ ორი ელექტრონული ტენდერი გამოცხადებულია:

1. სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევაზე, სადაც მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა სსიპ ლაბორატორიული კვლევით ცენტრმა მიიღო მონაწილეობა, ტენდერი მოიგო 10800 ლარად, თუმცა ქედის წყალკანალის სატენდერო კომისიის ბაზრის კვლევა აღნიშნულ მომომსახურებაზე მიღებული აქვს მხოლოდ ერთი ორგანიზაციიდან. სატენდერო კომისიის განმარტებით ბაზრის კვლევაში მონაწილეობა სხვა ორგანიზაციებმა არ მიიღეს რომ რეგიონში ერთ ორგანიზაციაზე მეტი წყლის ლაბორატორიულ კვლევას არ ატარებს.

2) ელექ, ტენდერი „ ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანა UAZ-469, ავტომანქანა ფორდ ტრანზიტის შეკეთება-მომსახურებაზე აუქციონის გარეშე მომსახურებაზე დაიდო ხელშეკრულება NAT2300029266 საფუძველზე 14 000 ლარზე, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მიგასთან“.

შპს მიგას მომსახურება გაწეული აქვს მომსახურების ერთეულის ფასების მიხედვით, რომელიც მოცემულია პრეისკურანტში ჯამური თანხით 24 700 ლარის ღირებულებით. აღნიშნული პრეისკურანტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას ფასების ოდენობა აუცილებლობიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნება მაშინ, თუ დადგინდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის საბაზრო ფასის გათვალისწინებით. თუ დადგინდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის საბაზრო ფასით გათვალისწინებული შეძენა. ამ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა იყოს შეთანხმება.

ჩემი მოსაზრებით აღნიშნული მეთოდით ორგანიზაცია სასხრების რაციონალურ ხარჯვას ვერ უზრუნველყოფს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ავტოტრანსპორტის შეკეთებამდე დადგინდეს დიაგნოსტიკის ცენტრის მიერ თუ რა სახის დაზიანებები აქვს ავტომანქანას და ისე გამოცხადდეს ელექ, ტენდერი.

2024 წელს ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 97469,16 ლარის შესყიდვა სულ 36 ხელშეკრულებით. მათ შორის 8 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერით არის გამოცხადებული, ხოლო 28 ხელშეკრულება შესყიდვების საგენტოსთან შეთანხმებით გამარტივებული შესყიდვის გზით. 2023-2024 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ფაქტიური მონაცემები იხ დანართი 7 და დანართი 8.

მონიტორინგით დადგინდა რომ 2024 წელს გამარტივებული შესყიდვის გზით შპს წყალკანალს 5 ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „მიგა +“ 13172 ლარის ღირებულებით. მცირე ფასიანი საქონლის შეძენაზე ხუთივე ხელშეკრულება გაფორმებულია „მიგა +“-ან, თითოეული ხელშეკრულების ფასი დაწყებული 3 2034 ლარიდან-3353 ლარამდე, აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებიდან ერთმანეთისგან დაშორებულია 2-დან სამი თვის შუალედში, მცირე ფასიანი საგნების უმრავლესობის შეძენა ერთობლივად არ აღემატება 10000 ლარს, ასევე ინდ, მეწარმე ელენე კობრაყასთან 2023-2024 წელს გაფორმებულია გამარტივებული შესყიდვის გზით 7 ხელშეკრულება, თითოეული ხელშეკრულების ფასი არ აღემატება 3500 ლარს. მთლიანი თანხის ღირებულებამ 2023 წელს 5 ხელშეკრულებისა

შეადგინა 10813 ლარი, ხოლო 2024 წელს ამავე პიროვნებასთან გაფორმებული იქნა 2 ხელშეკრულება 1812,50 ლარის ოდენობით, აღნიშნული ხელშეკრულებებზე 2023 წელს შეიძლება გამოცხადებულიყო ელექტრონული ტენდერი აღნიშნული მომსახურების მიღებაზე, რაც რისკის შემცველია (ბაზრის კვლევის შედეგებიდან ჩანს რომ ყველაზე დაბალი ფასები წარმოდგენილი აქვს ინდ, მეწარმე ელენე კოპრავა).

რეკომენდაცია N4: შპს ქედის წყალკანალის დირექტორმა დააწესოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას, სატენდერო დოკუმენტაციის სრულფასოვნად შეფასებას, რისკების იდენტიფიცირებას და პრეტენდენტების მიმართ სამართლიან მიდგომას.

მატერიალური ფასეულობების ხარჯვის მონიტორინგი

მონიტორინგით დადგინდა რომ ქედის წყალკანალის დირექტორს როგორც 2023 წელს ასევე 2024 წელს გამოცემული აქვს ბრძანებები მატერიალური ფასეულობების აღწერის, შემოსავალში აღების და ფასეულობების დანიშნულებით გამოყენების თაობაზე.

2023 წელს დეფექტური აქტების საფუძველზე 18 წყალსადენის მაგისტრალზე განხორციელდა 14478 ლარის სარემონტო სამუშაოები, 2024 წელს 20 მაგისტრალის წყალსადენის სარემონტო სამუშაოების დახარჯული იქნა 18 802,12 ლარი, ცენტრალურ საქროლატორო საფილტრე სადგურზე და სარეზერვო აუზის „ზეგარდა“-ს უბანში განხორციელებული იქნა 938 ლარის სამუშაოები. ასევე საკანალიზაციო სისტემის სარემონტო სამუშაოებზე დახარჯულია 844 ლარი, დათვალიერების აქტის შემდეგ კეთდება აღნიშნული სარემონტო სამუშაოები და სამუშაოების მიღება ხდება აქტების საფუძველზე.

შპს ქედის წყალკანალის მიერ 2023 წლის და 2024 წლის შესრულებულ სამუშაოებზე მატერიალური ფასეულობების ხარჯვის რეესტრი იხ დანართი N9 და N10 თანახმად.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა (შპს)

კრიტერიუმი: შპს ქედის წყალკანალის შექმნის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. მართველი ორგანოა საერთო კრება, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 თვისა ატარებს მორიგ საერთო კრებას.

ფაქტობრივი გარემოება:

საწარმოს დირექტორის მიერ 2023 და 2024 წლებში არ ჩატარებულა პარტნიორთა კრებები, სადაც აუცილებელი იყო კრებებზე განხილულიყო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, შემოსავლების წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების გზები, ასევე არ არის განხილული და დამტკიცებული ფინანსური ანგარიშები, არ არის შეფასებული გადახდის უუნარობის რისკები

რეკომენდაცია N5:

შპს ქედის წყალკანალის დირექტორმა დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის შემოსავლების, ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად- წელიწადში ერთხელ მაინც ჩაატაროს პარტნიორთა კრება.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

შოთა ბერიძე



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში
ინფორმაცია ჩატარებული აუდიტების შესახებ

N	აუდიტის ობიექტი	აუდიტის ჩატარების თარიღი	აუდიტის პერიოდი	აუდიტის სახე	გამცემული რეკომენდაცია	რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა	გატარებული დონისძიებები	შენიშვნა
	შპს „ქედის კომუნალურსერვისი“	2024 წელი	2021-2023	შესაბამისობისა და ფინანსური	№1 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-მა გამოუყენებელი საღებავი საპნით აწმინდებდა სახურავის დაზოგადების დაზოგადების ქედის მუნიციპალიტეტის მერის ან გაქირავების გზით მიიღოს ღამბატებითი შემოსავალი.	ნაწილობრივ შესრულებულია	შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დონისძიებმა გადმოგზავნა წერილი ქედის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციის დაზოგადების თაობაზე	ჯერ კიდევ აღინიშნულია ქონება შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ენერგიის ბალანსიდან მოხსნილი არ არის.
					№2 _ არსებული ინვენტარი დაინიშნოს და ჩაბრუნეს ვასულისმგებელ პირებს.	შესრულებულია	ორგანიზაციამ შექმნა საინვენტარიზაციო კომისია და ყველა ინვენტარი ჩაბრუნული იქნა მატერიალურ ვასულისმგებელ პირებზე	
					№3 -შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს კუთვნილ სპეც-ტექნიკაზე 2025 წლის 01 იანვრამდე დაზოგადების იქნას ჯიხაზისმგებელ პირებს.	შესრულებულია	სპეცტექნიკაზე დამონტაჟდა ჯიხაზის სისტემა	
					№4 -ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის მერის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით მოახდინა სპეც ტექნიკის გამოყენების წესი იქ, რომ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის თანადაფინანსებით მომსახურება და ორგანიზაციის შემოსავლების გაზრდა.	ნაწილობრივ შესრულებულია	შემუშავებულია სპეცტექნიკის გამოყენების წესი	
					№5 -გაცემ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საკმე.	შესრულებულია	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა სანიტარული კვანძი ავარიული დამონტაჟებული და ყოველდღიურად ხდება დალაგება/დასუფთავება	
					№6 -პირის ყველა ზომა ცხოველების გაუფრთხილებლობის და მუშაობა იქვე წარმართის, რომ მინიმუმადე შეამოსოს მანქანა (ძაღვები, კატები) ცხოველების რაოდენობა.	შესრულებულია	მუნიციპალიტეტის მერის პრიორიტის ფარგლებში ხდება ცხოველების გადგება ქ. ბათუმში, ხელშეწყობის საფუძველზე, სადაც ცხოველების უტარდება სამედიცინო პროფილაქტიკური დონისძიებები	

[illegible]

	ა (ა) კ.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“	2024 წელი	01.01.2022წ. - 01.01.2024წ.)	შესაბამისობა და ფინანსური	N1 ა (ა) კ.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ დირექტორმა: – საქმიანობა წარმართის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანება „საბუღალტრო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ დამტკიცების შესახებ. N2 დაწესებულებაში აღსაწრდელის მიღება განხორციელების ა (ა) კ.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ წესდების მე-9 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის შესაბამისად.	შესრულებულია	დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ინვენტარიზაციის კომისია და ყველა მატერიალურ ფასეულებს მიენიჭა შესაბამისი კოდი და ჩაბარებული იქნა აკადემიკურულ ჰაბიტუსში.
	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი	2025 წელი	01.01.2024-01.01.2025წ	შესაბამისობის	N1 - კონტროლზე იქნას აკვანილი სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთეობრივი კვებით უზრუნველყოფა (სისუფთავის დაცვა, საკვები პროდუქტების ვარისიანობა, მისი ხარისხის დაცვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და სხვა.) N2 - სივრცითი მოწყობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურმა, გათვალისწინის სატენდერო პირობების ჩამოყალიბებისა და საბუნებრივადი ვალდებულებების განსაზღვრის დროს სამუშაოების შესრულების გონივრული ვადების განსაზღვრა, განხორციელებულ სამშენებლო ტერიტორიის მეოთხედიური შეკავალა, სამშენებლო პერიოდში ბუნებრივი პირობებისა და კლიმატის სავარაუდო გართულებები, რომ შემდგომში შემცირდეს სამუშაოების ვალდებულებები ცვლილებების საჭიროება.	შესრულებულია	პერსონალურად ტარდება სამსახურის მიერ სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთეობრივი კვებით უზრუნველყოფა, მოინტერესობს შედეგად დაირეგულირება ადგილი არ ქონის
					შესრულებულია	2024-2025 წწ “ქედის საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა”-ის ფარგლებში	2025 წელს 4 საცხოვრებელი სახლი, მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური შეკავალა და მშენებლობა დასრულდა გეგმა გრაფიკის მიხედვით.

				N1 მპს ქედის წყალკანალის ხელმძღვანელობაში შემოვიკალოცების ტერიტორიაზე არსებული (წყალსადენები, სათავე ნაგებობები, წყლის აუზები და საკანალიზაციო სისტემები) რომელიც მათ ბაღთანზე არ აღირიგებდა, საბალანსო დირექტორების დადგენისა და სხვა ნაწევრებების შეკამათისა და მოთხოვნის მერიის ბალანსიდან, მპს ქედის წყალკანალის ბალანსზე გადაცემის საკითხის მოგვარება 2026 წლის 01 აპრილამდე.	ნაწილობრივ შესრულებულია	მიმდინარეობს საბალანსო დირექტორების დადგენა (წყალსადენები, სათავე ნაგებობები, წყლის აუზები და საკანალიზაციო სისტემები) და განხილვის შემდეგ საპროექტო უფლებით გადაცემული იქნება	
მ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“	2025 წელი	01.01.2023 წ.- 01.01.2025წ.)	შესაბამისობისა და ფინანსური	მპს ქედის წყალკანალის დირექტორმა დანერგოს კონტროლის შეკამათები რომელიც უზრუნველყოფს ანსერული რისკების და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზს და შეფასებას. შექმნას ადამიანური რესურსების მართვის ისეთი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა ფუნქციონის მაღალხარისხიანად შესრულებას, ამასთან შეფასდეს საბუჯეტო სახსრების ხარჯვის კონტროლის შეკამათების სისუსტეები, შეთავსებით და მტანხაირებულ დასაქმებულთა პირების სამუშაოზე გაზოგნების რისკები და	ნაწილობრივ შესრულებულია	შემდგომად შეთავსებით მომუშავეთა რაოდენობა 8 უზრუნველყო, ხელშეწყობით მომუშავეთა რაოდენობა კი 9 კადრით.	
			შპს „ქედის წყალკანალი“ 01.01.2025წ.)	შპს ქედის წყალკანალის დირექტორმა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი სისტემა რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა- შენახვის და სარეგისტრაციო ბარჯების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით უზრუნველყოფს ფულადი სახსრების დასაბუთებულ და	ნაწილობრივ შესრულებულია	შემდგომად სარეგისტრაციო რაოდენობა ოთხ სატრანსპორტო საშუალებაზე დაამტკიცებინა 7800 ლარის ოდენობით, ასევე დაწყებულია მკაფიო კონტროლი სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების შესაბამისობაში.	

[illegible]

2022-2023 წწ სახელმწიფო აუდიტის მიერ შესწავლილი საქმიანობის შესრულების მონიტორინგი	2025 წლის მე-4 კვარტალი	01.01.2022-31.12.2023	სახელმწიფო აუდიტის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები	N2 - ქულის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიმუშაოს, მიღა კონტროლის სისტემა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-მანამუხის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის მიზნით განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალური საოღებრობის და უზრუნველყოფის საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას. N3 - ქულის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიმუშაოს და დანერგოს მიღა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას სატანდერო დოკუმენტაციის სრულყოფილად შეფასებას, რისკების იდენტიფიცირებას და კრედიტუნებების მიმართ სამართლიან მიდგომას. N4 — ქულის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი დაინუნეუბით გაკეთდი ხარჯების დოკუმენტურად დასაბუთებას. ნაწილობრივ შესრულებულია 2023 წელს, კერძო მფლობელობაში მყოფი 18 ავტომანქანის მფლობელზე ყოველთვიურად მერის მიერ გამოცემილა მხოლოდ საწვავი 1550 ლიტრის ოდენობით, 2025 წელს მერის მიერ შემცირდა ავტომანქანების დაქირავების რაოდენობა 4 ერთეულით და დაქირავებულ ავტომანქანებზე ყოველთვიურად გაიყა 350 ლიტრით ნაკლები საწვავი. თანამერი კონკრეტული გარემოს რემონტის მიზნით შეესრულებს განყოფილების და სატანდერო კომისიის მიერ დაინუნება შესრულების განხორციელებისათვის სატანდერო დოკუმენტაციის მომზადებისა და შესრულების განხორციელების მეთოდოლოგია, განსაკუთრებული ყურადღება განახილულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესრულების წდითრი და ინდივიდუალური დავალება, დავალების პროექტი პასუხისმგებლობის სწორი გადახდილება, მწოდების ბაზრის კვლევა, საკადროგაციო და ტანდერო მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება. აღნიშნული ტანდერო პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერის ყველა სამსახური თავიანთი დანიშნირვი ფუნქციების შესაბამისად. სახელმწიფო მსახიდაების წარმომადგენლობითი ხარჯების დოკუმენტაციის წარმოდგენისას გათვალისწინებულია სტანდერტზე გამასინდელუბითი ხარჯებისა და სტანდერტის რაოდენობის აღრიცხვა. ამასთან, 2025 წელს ბოლო ქმის თუქმი სავითოდ არ მომზადილა წარმომადგენლობითი ხარჯების შესილიდან თანხების ხარჯვა.

--

--

--

--

N5 – ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ დაწესების ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის წილობრივად შიქმულ საწარმოებში ეფექტიან მნიშვნელოვანი, კერძოდ ანაბრებების სანაწარმოო, დანახარჯის და განხორციელების კონკრეტული თანხმობები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, მუშისაველების ახალი წესების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველყოფადა. ასევე მოხდა შემოწმება დაბრუნებული იმპულსი არამომდინარე საწარმოების აღმოჩენის, შეწყვეტის ან რეორგანიზაციის, შეწყვეტის ან პრივატიზაციის თაობაზე.	ნაწილობრივ შესრულებულია	საზოგადოებრივი მერიის მხრიდან საკონსულტაციო კანონის „შეწესების შესახებ“ და „ხელშეწყობის ადრინდის“ ანგარიშების აუდიტის შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარებულია „ხელშეწყობის“ მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მექანიზმ სუბიექტების ფინანსური რეგისტრაციის მკაცრ კონტროლს, რის შედეგადაც მოღწეული იქნება მათი წილობრივი ფინანსური შედეგების გაუმჯობესება. ყველა შესრულებული პასუხისმგებლობის საზოგადოებრივი დაწესებულების შესახებ, რის შედეგადაც 2025 წლის ბოლოსათვის რვა ეროვნული შემცირება საერთო ჯამში თანამშრომელთა რაოდენობა. შპს „საფინანსო კლუბი მთლიანი“ (როგორც არამომდინარე საზოგადოება) საქონლისა და მომსახურების ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ დაწესება	
N6 – ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ დაწესების ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საბუღალტრო სახსრების მონიტორინგს.	შესრულებულია	კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადაზღვეო მომსახურებას ხელშეწყობის მექანიზმების მონიტორინგის განხორციელება სადაზღვეო მომსახურების ხელშეწყობით გათვალისწინებული უფლების სრულყოფილად გამოყენებლობით მიყენებული ზიანი ამოღებულია მუნიციპალიტეტის სასაზღვრო 6693 ლარის ღირებულებით.	

					N7 – ქმლის შემოცანა პოლიტიკის მერიამ შეიძულებას და დაწესებულების მიერ კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული რისკებისა და სისხტურის ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. შექმნას აღნიშნული რეკომენდაციების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულთა ფუნქციების და საბუღალტრო დროის ამართანებას, შეფასებას საბუღალტრო სახსრების ხარჯვის კონტროლის მექანიზმების სისხტურები, შეთავაზებით და მტკიცებულებების დასაქმებული პირების მიერ საბუღალტრო დროის სრულყოფასა და გამოვლენის რისკები და გაზარდეს სათანადო ღონისძიებები.		ნაწილობრივ შესრულებულია	ხელშეწყობილი დასაქმებულ პირებს 2025 წელს გაუმჯობესდა ხელშეწყობების მოქმედების ვალდებულებები მერიის საქმიანობიდან და აღნიშნული საქმიანობიდან გამომდინარე, ხოლო ხელშეწყობილი დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2024 წელთან შედარებით არ გაზარდოდა. ხელშეწყობილი დასაქმებულ პირებს განაწილებული აქვს სამსახურიანი ფუნქციის მოვალეობები მათთან არსებული ინდივიდუალური ხელშეწყობებით. ხოლო, მიმდინარე 2026 წელს ხელშეწყობილი დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2025 წელთან შედარებით 7 (შვიდი) ერთეული შემცირდა	
--	--	--	--	--	--	--	--------------------------------	--	--

ა(ა)ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა

2025 წლის საქმიანობის ანგარიში

ა(ა)ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა წარმოადგენს სკოლის გარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება, ეროვნული კულტურის პოპულარიზაცია, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა და ნიჭიერი ახალგაზრდების მომზადება პროფესიული და უმაღლესი სახელოვნებო განათლების მისაღებად.

სკოლა უკვე 59 წელია წარმატებით ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კულტურის ცენტრის პირველ სართულზე, სადაც განთავსებულია 9 სასწავლო კაბინეტი და სარეპეტიციო სივრცე.

2025 წლის განმავლობაში სკოლაში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, „კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობასა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

2025 წლის განმავლობაში სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი სასწავლო მიმართულებები:

- საფორტეპიანო;
- საორკესტრო;
- ქორეოგრაფიული;
- გიტარის კლასი;
- ფანდურის კლასი;
- ვოკალური მიმართულება (ესტრადა);
- საგუნდო კლასი;
- დოლის კლასი;
- ანიმაციური ფილმების სტუდია;

ანიმაციური ფილმების სტუდია სკოლაში 2023 წელს დაფუძნდა და მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ ანიმაციის თანამედროვე ხელოვნება, შემოქმედებითი პროცესის ძირითადი პრინციპები და განვითარონ თანამედროვე ციფრული უნარები.

მოსწავლეთა კონტიგენტი

2025 წლის მდგომარეობით სკოლაში სწავლობს 386 მოსწავლე, მათ შორის:

- საფორტეპიანო _76 მოსწავლე
- საორკესტრო - 22 მოსწავლე
- ქორეოგრაფია - 162 (115 გოგო და 47 ბიჭი)
- გიტარა - 20
- ფანდური -35
- საგუნდო მიმართულება -35
- ვოკალური მიმართულება (ესტრადა) – 10
- დოლი - 8
- ანიმაციური ფილმების სტუდია - 8

მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდა ნათლად ადასტურებს, რომ ქედის სახელოვნებო სკოლა ადგილობრივი საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა. აღნიშნული ზრდა, ერთი მხრივ, სკოლის წარმატებული საქმიანობის, ხარისხიანი სასწავლო პროცესისა და საზოგადოების მაღალი ნდობის შედეგია, ხოლო, მეორე მხრივ აჩენს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების, სასწავლო სივრცეების გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების აუცილებლობას, რათა სკოლამ მომავალშიც შეძლოს ყველა მოსწავლისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ხარისხიანი სახელოვნებო განათლების უზრუნველყოფა.

სკოლაში დასაქმებულია 7 ადმინისტრაციული თანამშრომელი და 17 პედაგოგი. თითოეული მათგანი საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი პროფესიული განათლების, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის საფუძველზე.

პედაგოგიური კოლექტივი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვაზე, მოსწავლეთა

შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებასა და მათ აქტიურ ჩართულობაზე კულტურულ, საგანმანათლებლო და საშემსრულებლო საქმიანობაში.

2025 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებსა და კულტურულ ღონისძიებებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩინეს ქედის მუნიციპალიტეტი და აჭარის რეგიონი, მოიპოვეს არაერთი წარმატება და მნიშვნელოვანი აღიარება.

2025 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები და პროექტები;

ქედის სახელოვნებო სკოლამ 2025 წლის განმავლობაში აქტიურად განახორციელა კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში, წარმოაჩინა მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობები და ხელი შეუწყო ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

2025 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები:

- საერთაშორისო ფესტივალი „ბორჯომი-ბაკურიანი 2025“ მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საუნჯე“
- ბორჯომის მუნიციპალიტეტი - აწყურის კულტურის ცენტრში გამართულ ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორის ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საუნჯე-მ“ და მოიპოვა I ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება.
- თბილისში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში „მომავალი ჩვენია“ მონაწილეობა მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლმა „ჩანგი“-მ
- აჭარის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება, სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს ქართული და აჭარული ფოლკლორის ნიმუშები;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული პროგრამები;

- საფორტეპიანო, გიტარისა და სხვა კლასების მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტები;
- კულტურულ საგანმანათლებლო პროექტის „არ დაივიწყო ქართული“ განხორციელება;
- ანიმაციის ვორქშოფის ორგანიზება მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით;
- სახალხო დღესასწაულში „ქედელობა“ მონაწილეობის მიღება;
- ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ გალა-კონცერტში „ახალი თაობა“ მონაწილეობა;
- საახალწლო შემაჯამებელი კონცერტის ჩატარება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელოვნებო სკოლის შემოქმედებითი კოლექტივების წარმატებები-გრანპრები, ოქროს მედლები, საპრიზო ადგილები და საერთაშორისო გასტროლები თურქეთში, ბულგარეთსა და აზერბაიჯანში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა სკოლის ცნობადობა და წარმოაჩინა მოსწავლეთა მაღალი შემოქმედებითი შესაძლებლობები.

სასწავლო სივრცესთან დაკავშირებული გამოწვევები და განვითარების პერპექტივა

2026 წლიდან ქედის სახელოვნებო სკოლა ახალ კეთილმოწყობილ შენობაში განაგრძობს ფუნქციონირებას, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სკოლის განვითარებისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც მოსწავლეთა, ასევე პედაგოგთა სამუშაო პირობებს.

ამასთანავე, არსებული კონტიგენტის - დაახლოებით 350-ზე მეტი მოსწავლის - გათვალისწინებით 7 სასწავლო კაბინეტი ვერ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად და ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობა და სასწავლო მიმართულებების მრავალფეროვნება მოითხოვს მეტ სასწავლო სივრცეს, რათა დაცული იყოს საგაკვეთილო პროცესის ორგანიზების ხარისხი, სასკოლო დისციპლინა და თითოეული მოსწავლისათვის თანაბარი და კომფორტული სასწავლო გარემო.

საკლასო ოთახების სიმცირის გამო სკოლა იძულებულია სასწავლო პროცესისათვის გამოიყენოს ადმინისტრაციული სივრცეებიც. მათ შორის, დირექტორის სამუშაო კაბინეტი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად

წარმართვის მიზნით დღესაც გამოიყენება და ახალ შენობაშიც კვლავ საჭირო გახდება. აღნიშნული გარემოება ქმის გარკვეულ დისკომფორტს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების კუთხით და ზღუდავს სკოლის მართვის პროცესს.

სკოლის სამომავლო განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ხელოვნების ახალი მიმართულების დანერგვა და დამატებითი სასწავლო პროგრამების შექმნა. თუმცა ამ მიზნის სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელია საკლასო კაბინეტების გაზრდა, რათა სკოლამ შეძლოს როგორც არსებული კონტიგენტის ხარისხიანი მომსახურება, ასევე ახალი მიმართულებების განვითარება და კიდევ უფრო მეტი ბავშვის ჩართვა სახელოვნებო განათლებაში.

2025 წელი ა(ა)ი,პ ქედის სახელოვნებო სკოლისთვის წარმატებული, ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მიღწევებით გამორჩეული წელი იყო.

წლის განმავლობაში სკოლა აქტიურად ახორციელებდა სასწავლო-საამღზრდელო პროცესს, ზრუნავდა მოსწავლეთა ემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებაზე, მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებსა და ფესტივალებში.

სკოლის მოსწავლეებმა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები, მოიპოვეს უამრავი წარმატებები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქედის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებაში, ქართული ტრადიციებისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში.